MES 4 20 0001003913

19/10/2020

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 02.10.2020
სხდომის დაწყების დრო: 16:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 18:35 სთ
სხდომის თავმჯდომარე: დიმიტრი გეგენავა
საბჭოს მდივანი: ნიკა თიკანაშვილი (I, II, III)
სხდომის მდივანი: გიორგი თურქია (IV).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **დიმიტრი გეგენავა** - შპს "სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
2. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - საბჭოს მდივანი;
3. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
4. **ნინო დობორჯგინიძე** - სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
5. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" აფილირებული პროფესორი;
6. **პაატა ბრეკაშვილი** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მენეჯმენტის მიმართულებით;
7. **ირმა წერეთელი-** გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;

8. **ეკა ეკალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
9. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
10. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" სადოქტორო პროგრამის სტუდენტი;
11. **ზურაბ ორჯონიკიძე** - სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხალმძღვანელი,პროფესორი;
12. **გაიანე სიმონია** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი;
13. **ზურაბ გვიშიანი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი მოვალეობის შემსრულებელი;
14. **რომეო გალდავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	ქრისტინე აბულაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდ აწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	ირმა ინაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I
2.	დავით მახვილაძე		სტუ-ის რექტორის მრჩეველი	I
3.	ლენა შატაკიშვილი,		სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი	I
4.	ქეთევან ქუთათელაძე		სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I
			სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის	I

5	არჩილ სამადაშვილი		ფაკულტეტის საწარმოო ინოვაციებისა და ოპერაციათა მენეჯმენტის დეპარტამენტის უფროსი	
6	მანანა მაღრაძე		მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტი და ინდუსტრიული პოლიტიკა“ ხელმძღვანელი	
7.	ირმა ინაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	**II**
8.	დავით მახვილაძე		სტუ-ის რექტორის მრჩეველი	**II**
9.	თინათინ კაიშაური		სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე	**II**
10.	ქეთევან კოტეტიშვილი		სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	**II**
11.	ლევანი იმნაიშვილი		ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ინჟინერია“ ხელმძღვანელი	**II**
12.	მზია კიკნაძე		პროფესორი	**II**
13.	ია მოსაშვილი		პროფესორი	**II**
14.	ალექსანდრე ბენაშვილი		პროფესორი	
15.	დიმიტრი ჯაფარიძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერიტეტი	დეკანი ბიზნესის, ტექნოლოგიის და განათლების ფაკულტეტი	**III**
16.	ნანა ხიდამინჯია		პროფესორი, რექტორის მოადგილე ინოვაციების და მეცნიერების	**III**

			პოპულარიზაციის დარგში	
17.	ერეკლე მაღრაძე		ასოცირებული პროფესორი	**III**
18.	გიორგი დალაქიშვილი		ასოცირებული პროფესორი	**III**
19.	ანა თოფურია		კურიკულუმის ექსპერტი, ბიზნესის, ტექნოლოგიის და განათლების ფაკულტეტი	
20.	ნინო ჟვანია		უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	

აკრედიტაციის ექსპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ**	**საკითხი**
1	ეკა გეგეშიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ნინო პატარაია	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ლარისა პატარაია	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	მერაბ ბარათაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	ევა ავსაჯანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
6	თამაზ ბიჭიაშვილი	(ჩაერთო ,,ზუმით“)	II
7	ავთანდილს თავხელიძე	(ჩაერთო ,,ზუმით)	II
8	ლაშა ლალიაშვილი	(ჩაერთო ,,ზუმით“)	II
9	ნანი არაბული	(ჩაერთო ,,ზუმით“)	III
10	მიხეილ რუხაია	(ჩაერთო ,,ზუმით“)	III
11	ზურაბ ბოსიკაშვილი	(ჩაერთო ,,ზუმით“)	III
12	ნიკა გიგაური	(ჩაერთო ,,ზუმით“)	III

აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე,დიმიტრი გეგენავა.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27[2]-ემუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27[5]-ემუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 16:00 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტისა და ინდუსტრიული პოლიტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერების“ (ძირითადის პეციალობა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

შუამდგომლობის ინიციატორი - სოფიკო ქურასბედიანი

ცვლილების არგუმენტაცია - ,,შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის "საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტის)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ 2020 წლის 24 სექტემბრის N 890136 გადაწყვეტილების დანართში გამოვლინდა პროგრამის წინა დასახელებასთან დაკავშირებული ტექნიკური ხარვეზი, რომელიც მიზანშეწონილია გასწორდეს საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებით.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტისა და ინდუსტრიული პოლიტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერების“ (ძირითადი სპეციალობა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის "საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტის)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 24 სექტემბრის N 890136 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ საკითხი.

1.პირველი საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტისა და ინდუსტრიული პოლიტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტი და ინდუსტრიული პოლიტიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-

3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	05.02.2019 #39
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტი და ინდუსტრიული პოლიტიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	პროექტების მენეჯმენტის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 0175, მ. კოსტავას ქ. N77, სასწავლო კორპუსი N8
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადა - ზურაბ გვიშიანმა.
საფუძველი - დაწესებულებასთან შრომითი ხელშეკრულების არსებობა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის, საწარმოო ინოვაციებისა და ოპერაციათა მენეჯმენტის დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის ინიციატივით შემუშავებული იქნა მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტი და ინდუსტრიული პოლიტიკა", რომელიც აკრედიტებული იქნა 28.09.2012წ. (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №467), ხოლო 05.02.2019 წლის №39 გადაწყვეტილებით პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 1 წლით და 6 თვის ვადით.
პროგრამაში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები. კერძოდ: დაიხვეწა პროგრამის მიზანი; შემცირდა კვლევითი კომპონენტი 10 კრედიტით (იყო 45 კრედიტი - გახდა 35), სასწავლო კურსების „გადაწყვეტილებათა მიღების რაოდენობრივი მეთოდები 1“და გადაწყვეტილებათა მიღების რაოდენობრივი მეთოდები 2“ - ის ნაცვლად მომზადდა ახალი სასწავლო კურსი: „გადაწყვეტილებათა მიღების რაოდენობრივი მოდელები“ - 5კრ, სწავლების მეთოდებით - ლექცია და ლაბორატორია; გამოთავისუფლებული 15 კრედიტის ხარჯზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების გათვალისწინებით პროგრამას დაემატა შემდეგი სასწავლო კურსები: „საინვესტიციო პროექტების ფინანსური მენეჯმენტი“ - 5კრ, სწავლების მეთოდები: ლექცია, პრაქტიკული. წინაპირობით - „ეკონომიკური განვითარება და ტექნოლოგიები“; „პროექტის რისკების მენეჯმენტი“ - 5კრ, სწავლების მეთოდები: ლექცია, სემინარი, პრაქტიკა, წინაპირობით - „სტრატეგიული მენეჯმენტის კონცეფციები“; „ოპერაციათა სტრატეგიული მენეჯმენტი“ - 5კრ, სწავლების მეთოდები: ლექცია, ლაბორატორიული. წინაპირობით - „გადაწყვეტილების მიღების რაოდენობრივი მოდელები“. სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) განხორციელდა ცვლილებები, როგორც შინაარსობრივი, ასევე ლიტერატურის მხრივ. რეკომენდაციის შესაბამისად კურიკულუმში გაძლიერდა პრაქტიკული ნაწილი, მოხდა თეორიული სწავლებისა და პრაქტიკის ინტეგრირება; კერძოდ: სასწავლო კურსს „პროექტის რისკების მენეჯმენტი“ დაემატა საწარმოო პრაქტიკა, ხოლო 2 სასწავლო კურსში „საწარმოო და ბიზნესპროცესების ინჟინერინგი“ და „პროგრამების და პროექტების მართვა“ სწავლების მეთოდები: ლექცია, სემინარი, ლაბორატორიული საათები შეიცვალა ლექცია, ლაბორატორიული და საკურსო სამუშაოთი. პროექტის შინაარსის, ხარისხის, ვადების, შესყიდვების და მატერიალური რესურსების მართვის საკითხები, ლიდერობა და ორგანიზაციული ქცევა განხილულია შემდეგი სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში): „პროგრამების და პროექტების მართვა“, „ოპერაციათა სტრატეგიული მენეჯმენტი“, „ლოგისტიკური სისტემების მოდელირება“, „პერსონალის მართვის მოდელები და მეთოდები“. 5 ასევე, მოხდა სასწავლო კურსებში „პროგრამების და პროექტების მართვა“ და „პერსონალის მართვის მოდელები და მეთოდები“ სასწავლო ლიტერატურის ცვლილება. გაძლიერდა არჩევითი სასწავლო კურსები, შეიქმნა ორი არჩევითი ბლოკი, შემდეგი სასწავლო კურსებით (თითოეული 5კრ).
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის, საწარმოო ინოვაციებისა და ოპერაციათა მენეჯმენტის დეპარტამენტის სამაგისტრო პროგრამის „ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტი და ინდუსტრიული პოლიტიკა", აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 14 ივლისს. ვიზიტამდე 2020 წლის 13 ივლისს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის ორგანიზებით, Zoom.us პროგრამული უზრუნველყოფით, შედგა ექსპერტთა ჯგუფის შეკრება 15:00 საათიდან 17:00 საათამდე, სადაც მიმდინარეობდა წარმოდგენელი დოკუმენტაციისა, პროგრამისა და თვითშეფასების ანგარიშის განხილვა. ცენტრის მიერ მოწოდებული დღის განრიგისა და დასკვნის ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა მომდევნო დღეს ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. 14 ივლისს დაწესებულებაში ვიზიტის

ფარგლებში 10:00 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა უნივერისტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფი უზრუნველყოფილი იყო კარგი სამუშაო გარემოთი და მათ საშუალება ჰქონდათ ობიექტურად შეეფასებინათ პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტისა და ინდუსტრიული პოლიტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შემდეგნაირად შეფასდა: პირველი, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტები სრულ, ხოლო 2 სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან.
პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციისა და მიზნებიდან გამომდინარე ექსპერტებმა შეიმუშავეს გარკვეული რეკომენდაციები, კერძოდ:

1. პროგრამის კვლევითი კომპონენტები შესაბამისობაში უნდა მოვიდეს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის №3 ბრძანებასთან. კერძოდ პროგრამაში წარმოდგენილია ორი დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი, სამაგისტრო ნაშრომი 30 კრედიტი და 5 კრედიტის ოდენობით კვლევითი კომპონენტი „თეორიული /ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმი“, რომლებიც ფასდება ცალ-ცალკე, იმისთვის, რომ დაკმაყოფილდეს მოთხოვნები კვლევითი კომპონენტი პროგრამაში უნდა იყოს 1 და ფასდებოდეს ერთჯერადად;
2. უსდ-მ დოკუმენტში, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება მაგისტრატურის შესახებ“, მოახდინოს უფრო დეტალური აღნიშვნა სამაგისტრო ნაშრომში მეთოდოლოგიური და მიზნობრივი ნაწილის არსებობისთვის;
3. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა უფრო მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ, სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას მეთოდოლოგიური და მიზნობრივი ნაწილის ასახვას ნაშრომში;
4. რეკომენდირებულია გარემონტდეს და თანამედროვედ აღიჭურვოს მე-8 კორპუსი, მათ შორის საპირფარეშოები. შესაბამისად, ბიუჯეტში გამოიყოს საჭირო თანხები;
5. გაძლიერდეს დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების ჩართვის მექანიზმები პროგრამის განახლების/გაუმჯობესების პროცესებში;
6. მოხდეს ქმედითი რეაგირება აკადემიური პერსონალის სამუშაოთი კმაყოფილების კვლევით გამოვლენილ ნაკლოვანებებზე (გაიზარდოს პროფესიული განვითარების შესაძლებლობები).

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ პოზიცია.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ პირობითი აკრედიტაციის ფარგლებში, ექსპერტთა მიერ გამოცემული რეკომენდაციები სრულად იქნა შესრულებული და შესაბამისად პროგრამაში განხორციელდა აუცილებელი ცვლილებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ექსპერტთა მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე, კერძოდ პირველ, მე-2 და მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიციატივით მომზადდა პროექტი „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულებაში მაგისტრატურის შესახებ“ დოკუმენტში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებით გამოკვეთილ საკითხებს. ,,მაგისტრატურის შესახებ“ დებულება სრულად

შესაბამისობაში მოვიდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანებასთან. მასში განისაზღვრა არა მხოლოდ ძირითადი საკითხები, არამედ შეფასების მეთოდები და მოთხოვნები. ცვლილებების პროექტი, დღეის მდგომარეობით, დამტკიცებულია სტუ-ის აკადემიური საბჭოს მიერ.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ასევე გამოყო ექსპერტთა მიერ განსაზღვრული მე-4 რეკომენდაცია და აღნიშნა, რომ მოცემული რეკომენდაცია ატარებს რჩევის ხასიათს და უფრო მეტად მიმართულია ავტორიზაციის სტანდარტებისკენ, თუმცა აღსანიშნავია, რომ ფაკულტეტის ბიუჯეტში გამოყოფილია თანხები, როგორც თანამედროვე აღჭურვილობის შესაძენად, ასევე სარემონტო სამუშაოებისთვის.
რაც შეეხება მე-5 რეკომენდაციას, დაწესებულება მიიჩნევს, რომ აღნიშნული რეკომენდაციაც რჩევის სახით უნდა ყოფილიყო განსაზღვრული, ვინაიდან, სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტზე შექმნილია „მრჩეველთა საბჭო“; საბჭოს შემადგენლობაში შედიან დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები, რაც უზრუნველყოფს მათ ჩართულობას პროგრამის განახლების/გაუმჯობესების პროცესებში: სასწავლო პროგრამების შეფასება, სტუდენტთა პრაქტიკა, სტაჟირება, ერთობლივი პროექტების განხორციელება, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების ჩატარება, ექსპერტული საქმიანობის წარმოება და სხვ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ჩართულობა იყო საკმაოდ მაღალი, რამაც გავლენა მოახდინა თავად პროგრამაზეც, რადგან წინა რეაკრედიტაციის დროს მიღებული რეკომენდაციების შესრულება ვერ მოხერხდებოდა აღნიშნული საკითხის მოწესრიგების გარეშე.
საყურადღებოა ასევე ექსპერტთა მიერ განსაზღვრული მე-6 რეკომენდაცია, რომელსაც დაწესებულება ასევე რჩევის სახით მოიაზრებს. მათი განმარტებით, სტუ-ში მიმდინარეობს რეორგანიზაციის პროცესი. რექტორის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც წარედგინა წინადადებები, მათ შორის, აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგები. დაგეგმილია აკადემიური პერსონალის ხელფასების ზრდა 20%-ით, გათვალისწინებულია პროფესიული განვითარების დაფინანსება, სამუშაო გარემოს გაუმჯობესება, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება; აღნიშნულის გამო ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე მიმდინარე წლის 8 აგვისტოს განხორციელდა ცვლილებები ფაკულტეტის ბიუჯეტში.
პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე ისაუბრა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რჩევებზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს მოცემულ რჩევებს და შესაბამისად პროგრამის დასახელება აუცილებლად დაკორექტირდება შემდეგნაირად, ,,ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტი“.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს საჭიროების შემთხვევაში წარმოედგინათ კითხვების და მოსაზრებები.

სხდომის თავმჯდომარემ, დიმიტრი გეგენავამ, დააზუსტა ინფორმაცია სამაგისტრო ნაშრომების კომპონენტებთან დაკავშრებით, რაც გულისხმობდა, რომ სამაგისტრო ნაშრომი შეადგენდა 30 კრედიტს, და 5 კრედიტი იყო ცალკე ექსპერიმენტული კვლევა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა რომ სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდებოდა ერთჯერადად და მოიცავდა 30 კრედიტს, თუმცა ასევე ცალკე არის 5 კრედიტიანი კვლევითი კომპონენტი, რომელიც უმჯობესი იქნებოდა ყოფილიყო კვლევის მეთოდების საგანი და ამგვარად გაწერილიყო.

სხდომის თავმჯდომარემ დააზუსტა რომ რეკომენდაცია მიზნად ისახავდა კვლევითი კომპონენტების სრულად ინტეგრირებას სამაგისტრო ნაშრომში და არ ჰქონდა კავშირი ნაშრომის ერთჯერადად შეფასების საკითხის პრობლემატიკასთან და შესაბამისად სრულად შესაბამისი იყო „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის

დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის №3 ბრძანებასთან.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:34
დასრულების დრო:16:43

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტისა და ინდუსტრიული პოლიტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ მე-2 სტანდარტი განსაზღვრა როგორც სრულად შესაბამისი აკრედიტაციის სტანდარტებთან.

საბჭომ რეკომენდაციები ჩამოაყალიბა შემდეგი ფორმულირებით:

1.კვლევითი კომპონენტი „თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმი“, ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ კომპონენტად ან ამოღებული იქნას პროგრამიდან და მოხდეს მისი ელემენტების გათვალისწინება სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებში. მოხდეს აღნიშნულის იმგვარად ჩამოყალიბება, რომ იგი განირჩეოდეს კვლევითი კომპონენტისგან.
2.სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა უფრო მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ, სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას მეთოდოლოგიური და მიზნობრივი ნაწილის ასახვას ნაშრომში;
3. გაძლიერდეს დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების ჩართვის მექანიზმები პროგრამის განახლების/გაუმჯობესების პროცესებში;
4. მოხდეს ქმედითი რეაგირება აკადემიური პერსონალის სამუშაოთი კმაყოფილების კვლევით გამოვლენილ ნაკლოვანებებზე (გაიზარდოს პროფესიული განვითარების შესაძლებლობები).

გადაწყვეტილება
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული

კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტისა და ინდუსტრიული პოლიტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

2. მეორე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული ინჟინერ იის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კომპიუტერული ინჟინერია
ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
სტატუსი	ახალი
სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	-
ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
დაშვების წინაპირობები	-
კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
კვალიფიკაციის დასახელება	კომპიუტერული ინჟინერიის ბაკალავრი
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0714 ელექტრონიკა და ავტომატიზაცია
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი 0175, სასწავლო კორპუსი N6, მ. კოსტავას ქ. N77
მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადა - ზურაბ გვიშიანმა
საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და

საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფის თამჯდომარეს წარმოედგინა პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის მაღალი ტემპის, კომპიუტერული ინჟინერიის სპეციალისტებზე მოთხოვნის ზრდის და ამ მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ტენდენციების გათვალისწინებით საქართველოსა და მსოფლიო მასშტაბით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე მომზადდა ახალი საბაკალავრო პროგრამა „კომპიუტერული ინჟინერია“. კომპიუტერის აპარატურულ და პროგრამულ უზრუნველყოფებზე, ჩაშენებულ სისტემებზე, კომპიუტერულ ქსელებსა და გამოყენებით ინტელექტუალურ კომპიუტერულ სისტემებზე ფოკუსირებული საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციაა - კომპიუტერული ინჟინერიის ბაკალავრი.
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული დოკუმენტების შესწავლის შემდეგ, 2019 წლის 20 ივლისს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის ინიციატივით შედგა საექსპერტო ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა/თათბირი, სადაც ცენტრის წარმომადგენელმა ექსპერტებს გააცნო პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტები და პროცედურები. დოკუმენტების წინასწარი განხილვის შედეგად ჩამოყალიბებული შთაბეჭდილებების გაზიარების შემდგომ, ჯგუფის მიერ მომზადდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში განსახორციელებელი ვიზიტისათვის სავარაუდო კითხვები. 2020 წლის 21 ივლისს განხორციელდა აკრედიტაციის ვიზიტი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. ვიზიტის პროცესში საექსპერტო ჯგუფის წევრები შეხვდნენ: უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციას; პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს; უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებს; პროგრამის ხელმძღვანელს; საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს; ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სხვა საგანმანათლებლო მიმართულების სტუდენტებს; ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სხვა საგანმანათლებლო მიმართულების კურსდამთავრებულებს; დამსაქმებლებს და სტაჟირების განმახორციელებლებს. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაათვალიერა პროგრამის განხორციელებისთვის გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიები). ვიზიტის დასასრულს საექსპერტო ჯგუფს გამოეყო სამუშაო დრო ვიზიტის მსვლელობისას გამოვლენილი ძირითადი მიგნებების ჩამოსაყალიბებლად და დაწესებულების წარმომადგენლებისათვის გასაცნობად.
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შემდეგნაირად შეფასდა: პირველი, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტები სრულ, ხოლო მე-2 სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან.

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან და მიზნებიდან გამომდინარე ექსპერტებმა შეიმუშავეს გარკვეული რეკომენდაციები, კერძოდ:
1. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსი მართვის ავტომატიზებული სისტემა ფიგურირებს „განაწილებული კომპიუტერული (ანუ იგივე SCADA) სისტემების“ სახით, კურსდამთავრებულთა ინჟინრული ხედვის უკეთ განვითარებისათვის ამ მიმართულებით მიზანშეწონილია პროგრამის გაძლიერება საკითხებით ზოგადად მართვის ავტომატიზირებული სისტემებისა და მისი ელემენტების (გაზომვის ტექნიკის, სენსორების და სხვათა) შესახებ;
2. საჭიროა გარკვეული დოზით დარგობრივი/ტექნიკური ინგლისურის სწავლების გაძლიერება;
3. აუცილებელია საწარმოო პრაქტიკის კომპონენტის დამატება ან სასწავლო კურსის „საწარმოო პრაქტიკა“-ს მოდიფიცირება იმ რეალური საწარმოო პირობების ჩართვით, სადაც სტუდენტები პროექტირების საკითხებში მონაწილეობის მიღებით ნათლად დაინახავენ ტექნოლოგიური პროცესების მიმდინარეობას მათი უკეთ შემეცნებისა და შესწავლის მიზნით;
4. იმის გათვალისწინებით, რომ სასწავლო ლაბორატორიების ტექნიკური, პროგრამული და სხვა რესურსებით აღჭურვა (მატერიალურ ტექნიკური ბაზა) წინ უსწრებს მის გამოყენებას, აუცილებელია ამ რესურსების მაქსიმალური გამოყენება და სტუდენტთა მაქსიმალური ჩართულობა ამ პროცესში;
5. სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების უკეთ განვითარებისათვის სპეციალობის საგნებში ლაბორატორიული სამუშაოებზე აბსტრაქტულ ობიექტებზე სიმულაციური პროგრამების პარალელურად აუცილებელია დაემატოს საგნობრივი/ნატურული ექსპერიმენტები რეალურ ობიექტებზე;
6.გასაძლიერებელია პროგრამის აკადემიური პერსონალის საერთაშორისო ინსტიტუციური განვითარების პროექტებში (Erasmus+, Tempus) ჩართულობა;
7. რეკომენდებულია პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის თვითშეფასების და კმაყოფილების კვლევის რეგულარულად ჩატარება.

სხდომის თავჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ პოზიცია.

პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებზე, კერძოდ პირველ რეკომენდაციასთან მიმართებით აღნიშნა, რომ დაწესებულება მას არ იზიარებს. წარმოდგენილი პროგრამა არის ,,კომპიუტერული ინჟინერია“ და ტექნოლოგიური პროცესების მართვა მის მხოლოდ ერთ-ერთ ნაწილს წარმოადგენს. მართვის ავტომატიზებული სისტემის კურსი წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამაში ფიგურირებს „განაწილებული კომპიუტერული სისტემების“ (ანუ იგივე SCADA სისტემების) სახით.
მნიშვნელოვანია, ასევე ის, რომ დაწესებულებამ გადადგა გარკვეული ნაბიჯები პროგრამის მოდიფიცირების მიზნით, აკრედიტაციის მიღების შემდგომ დაგეგმილია რიგი ცვლილებების გატარება.
დაწესებულება სრულიად დაეთანხმა დასკვნაში მოცემულ მე-2 რეკომენდაციას და შესაბამისად, უცხო ენის მოცულობა გაიზრდება 5 კრედიტით.
რაც შეეხება მე-3 რეკომენდაციას, დაწესებულების წარმომადგნელის განმარტებით, პროგრამაში ფიგურირებს „საწარმოო პრაქტიკის“ სასწავლო კურსი 5 კრედიტის მოცულობით. გარდა ამისა, სასწავლო კურსების: „განაწილებული კომპიურული სისტემები“, „საკომუნიკაციო ქსელების ორგანიზება“, „კომპიუტერული ქსელების ორგანიზება“, „კომპიუტერული ქსელები“, „კომპიუტერის აპარატურული უზრუნველყოფა“, „კომპიუტერის პერიფერიის ორგანიზაცია“, ლაბორატორიული, პრაქტიკული მეცადინეობები თუ საკურსო პროექტების კონსულტაციები ტარდება რეალურ საწარმოო აღჭურვილობაზე. ასევე, საკურსო პროექტები და მათი შედეგები სასწავლო კურსებში „შესავალი მონაცემთა ბაზებში და აპლიკაციები“, „მონაცემთა ბაზების დაპროექტება“, „ობიექტზე ორიენტირებული პროგრამირება“ მიახლოებულია საწარმოო პირობებთან, რაც მათი აზრით, ფაქტობრივად საწარმოო პრაქტიკაა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ყურადღება გაამახვილა ასევე მე-4 რეკომენდაციაზე და განმარტა რომ ტექნიკური უნივერსიტეტის ლაბორატორია მხოლოდ ამ პროგრამისთვის არ არის შექმნილი. ლაბორატორია ამოქმედდა 2019 წელს, მაშინ, როდესაც მოცემული პროგრამის კონცეფცია უკვე შემუშავებული იყო. ამასთან, ლაბორატორიის შესაძლებლობების გამოვლენა და ათვისება მიმდინარეობს დღესაც. აქედან გამომდინარე, ცხადია სრულად ვერ ხდება ლაბორატორიულ რესურსის ათვისება, მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო კურსები საკმაოდ დატვირთულია ლაბორატორიული სამუშაოებით. აღნიშნული რესურსის ათვისება სავსებით შესაძლებელია, თუმცა საჭიროა მეტი ლიტერატურული რესურსი და პედაგოგების გადამზადება.
მე-5 რეკომენდაციასთან დაკავშრებით, უმაღლესი სასწავლო დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ რეკომენდაციაში დასაზუსტებელია, რას გულისხმობენ ექსპერტები „რეალურ ობიექტებში“. რეალურ ობიექტებში შეიძლება ვიგულისხმოთ საწარმოო დანიშნულების ობიექტები ან სასწავლო/კვლევითი ლაბორატორიული აღჭურვილობა. საგანთა იმ ჯგუფში, რომელიც მიმართულია კომპიუტერული ქსელების შესწავლაზე, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ მეცადინეობებზე გამოიყენება საწარმოო დანიშნულების (რეალურ პირობებში გამოყენებადი) ქსელური აღჭურვილობა. SCADA სისტემების სასწავლო/კვლევით ლაბორატორიულ სტენდებში გამოიყენება საწარმოო დანიშნულების აპარატურული და პროგრამული საშუალებები. ლაბორატორიული სამუშაოების წარმართვისათვის პერსონალური კომპიუტერის დიაგნოსტირებაში გამოიყენება საწარმოო დანიშნულების აღჭურვილობა. საგანთა ჯგუფში, რომელიც მიმართულია ელექტრონიკის, ციფრული სქემატექნიკის, ჩაშენებული სისტემების შესწავლაზე, გამოიყენება თანამედროვე სასწავლო/კვლევითი ლაბორატორიული აღჭურვილობა ლაბორატორიული სტენდებისა და პროგრამული უზრუნველყოფის სახით. ამდენად, წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამაში ლაბორატორიულ მეცადინეობებზე არ გამოიყენება მხოლოდ სიმულაციური პროგრამები, გამოიყენება სიმულაციური პროგრამები&ლაბორატორიული ექსპერიმენტი, სიმულაციური პროგრამები&ნატურული ექსპერიმენტი ან მხოლოდ ნატურული ექსპერიმენტი.
დაწესებულება სრულიად ეთანხმება ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ მე-6 რეკომენდაციას. დაწესებულების პერსონალი მუდმივად ცდილობს საერთაშორისო პროექტებში ჩართვას, თუმცა მაინც მნიშვნელოვანია ამ კუთხით ჩართულობის მაქსიმალურად გაზრდა.
დაწესებულება ასევე სრულიად იზიარებს მე-7 რეკომენდაციას და შესაბამისად განახორციელებს აუცილებელ ცვლილებებს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ დააზუსტა რომ პროგრამა ამზადებდა კადრებს, რომლებიც სამომავლოდ უნდა დასაქმდნენ ბიზნეს ორგანიზაციებში და აღნიშნა რომ უმჯობესო იქნებოდა საგანი, ,,ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში“ თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსის ნაცვლად სავალდებულო საგნად ჩამოყალიბებულიყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი საგანი იყო ,,მეწარმეობის საფუძვლები“, რაც ფარავდა ზემოაღნიშნულს. თუმცა საბჭოს წევრის მოსაზრებით, საგნის ,,ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში“ მიზანი უნდა ყოფილიყო ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება ორგანიზაციებში, მათ შორის სამედიცინო და სამთავრობო ორგანიზაციები, სწორედ მათ შეკვეთებზე უნდა იმუშაონ ინჟინრებმა, მეწარმეობა კი გულისხმობს საკუთარ ბიზნესის შექმნას და მართვას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა რომ კომპიუტინგი შედგება ხუთი დარგისაგან, მათ შორის ერთ-ერთი არის კომპიუტერული ინჟინერია, მისი თქმით, ზემოაღნიშნული საკითხი განეკუთვნება ინფორმაციულ სისტემებს ან ინფორმაციულ ტექნოლოგიებს,

შესაბამისად დაწესებულება ცდილობს წინ წამოწიოს ინჟინერიის საკითხები. სტუდენტის სურვილის შესაბამისად კი ხდება ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული თემების განხილვა და სწავლება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინსტიტუცია აუცილებლად იმსჯელებს მოცემულ საკითხზე.

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა დააზუსტა თუ რას გულისხმობს შინაარსობრივად პირველი რეკომენდაცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ მართვის ავტომატიზირებული სისტემები პროგრამის ფარგლებში მეტად უნდა იყოს განხილული. აუცილებელია იმის წარმოჩენა თუ რას გულისხმობს ზოგადად აღნიშული სისტემა და როგორ ხდება მისი გამოყენება, ხოლო შემდეგ უნდა მოხდეს SCADA-ზე გადართვა.
დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა სენსორებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ინსტიტუციის მიერ მოხდა ინტელექტუალური სენსორების შემუშავება სასწავლო კურსში. მისი თქმით, დაწესებულება ცდილობს პროგრამა ორიენტირებული იყოს ძირითადად კომპიუტერულ ინჟინერიაზე და არა ავტომატიზირებულ სისტემებზე. ტექნოლოგიური პროცესების მართვა პროგრამის ფარგლებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:25
დასრულების დრო:17:30

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- საბჭო იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკურიუნივერსიტეტის ,,კომპიუტერული ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭებისა და 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბა შემდეგი ფორმულირებით:

1. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსი მართვის ავტომატიზებული სისტემა ფიგურირებს „განაწილებული კომპიუტერული (ანუ იგივე SCADA) სისტემების“ სახით, კურსდამთავრებულთა ინჟინრული ხედვის უკეთ განვითარებისათვის ამ მიმართულებით მიზანშეწონილია პროგრამის გაძლიერება საკითხებით ზოგადად მართვის ავტომატიზირებული სისტემებისა და მისი ელემენტების (გაზომვის ტექნიკის, სენსორების და სხვათა) შესახებ;
2. საჭიროა გარკვეული დოზით დარგობრივი/ტექნიკური ინგლისურის სწავლების გაძლიერება;

3. აუცილებელია საწარმოო პრაქტიკის კომპონენტის დამატება ან სასწავლო კურსის „საწარმოო პრაქტიკა“-ს მოდიფიცირება იმ რეალური საწარმოო პირობების ჩართვით, სადაც სტუდენტები პროექტირების საკითხებში მონაწილეობის მიღებით ნათლად დაინახავენ ტექნოლოგიური პროცესების მიმდინარეობას მათი უკეთ შემეცნებისა და შესწავლის მიზნით;
4. იმის გათვალისწინებით, რომ სასწავლო ლაბორატორიების ტექნიკური, პროგრამული და სხვა რესურსებით აღჭურვა (მატერიალურ ტექნიკური ბაზა) წინ უსწრებს მის გამოყენებას, აუცილებელია ამ რესურსების მაქსიმალური გამოყენება და სტუდენტთა მაქსიმალური ჩართულობა ამ პროცესში;
5. სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების უკეთ განვითარებისათვის სპეციალობის საგნებში ლაბორატორიული სამუშაოებზე აბსტრაქტულ ობიექტებზე სიმულაციური პროგრამების პარალელურად აუცილებელია დაემატოს საგნობრივი/ნატურული ექსპერიმენტები რეალურ ობიექტებზე;
6.გასაძლიერებელია პროგრამის აკადემიური პერსონალის საერთაშორისო ინსტიტუციური განვითარების პროექტებში (Erasmus+, Tempus) ჩართულობა;
7. რეკომენდებულია პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის თვითშეფასების და კმაყოფილების კვლევის რეგულარულად ჩატარება.

გადაწყვეტილება
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის 6 იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

17:45 საბჭოს სხდომას შეუერთდა ნიკოლოზ კიკნაძე

3. მესამე საკითხი: სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერების“ (ძ ირითადი სპეციალობა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის გ ანხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერება (ძირითადი სპეციალობა)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-

6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი 0612, ჩოლოყაშვილის გამზირი 3/5
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადეს - ნინო დობორჯინიძემ და პაატა ბრეკაშვილმა.
საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს წარმოედგინა პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საბაკალავრო პროგრამა „კომპიუტერული მეცნიერება (ძირითადი სპეციალობა)“ ახალი პროგრამაა. პროგრამის ფარგლებში ძირითადი

აქცენტი კეთდება მათემატიკის, ალბათობის თეორიისა და სტატისტიკის ფუნდამენტური კურსების ინტეგრირებაზე კომპიუტერული პროგრამების ინჟინერიის, სისტემის ადმინისტრირებისა დამონაცემთა მეცნიერებების კურსებში. წარმოდგენილი პროგრამა ასევე გადის პროცედურებს ABET (Accreditation Board for Engineering and Technology – abet.org) აკრედიტაციისათვის. პროგრამა ინგლისურენოვანია. სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამა შედგება თავისუფალი კომპონენტებისაგან - 60 კრედიტი და ძირითადი სასწავლო კურსებისაგან - 180 კრედიტი. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაცია - კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი.

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 13 აგვისტოს. ჯგუფის მოსამზადებელი შეხვედრა განხორციელდა 2020 წლის 12 აგვისტოს, რომლის ფარგლებშიც ჯგუფის წევრები შეჯერდნენ პროგრამის შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. 2020 წლის 13 აგვისტოს ვიზიტი წარიმართა წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით. გაიმართა შეხვედრები: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; თვითშეფასების ჯგუფთან; უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან; პროგრამის ხელმძღვანელთან; აკადემიურ პერსონალთან; მოწვეულ ლექტორებთან; IT მიმართულების საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; დამსაქმებლებთან. ვიზიტის დროს მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება: ბიბლიოთეკა, აუდიტორიები, ლაბორატორიები. ვიზიტის დასასრულს დაწესებულების წარმომადგენლებს წარედგინათ ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერების“ (ძირითადი სპეციალობა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად: პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტები მეტწილ შესაბამისობაში, ხოლო მესამე და მეხუთე სტანდარტები სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან.

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან და მიზნებიდან გამომდინარე ექსპერტებმა შეიმუშავეს გარკვეული რეკომენდაციები, კერძოდ:

1.პროგრამის მიზნებში ნათლად აისახოს კურსდამთავრებულთა სამიზნე ცოდნა;

2. დაზუსტდეს პროგრამის მეორე შედეგი და გაიწეროს ისე, რომ იყოს გაზომვადი და მიღწევადი;

3. ქართულად პროგრამის შედეგები გაიწეროს აქტიურ დროში;

4. პროგრამაში გაიზარდოს კომპიუტერული მეცნიერებების კურსების წილი;

5. სასწავლო კურსის: „დამამთავრებელი კურსის დიზაინის პროექტი“ გაიზარდოს კრედიტების რაოდენობა (მინიმუმ ორჯერ);

6. პროგრამაში მიეთითოს „დამამთავრებელი კურსის დიზაინის პროექტი“ სასწავლო კურსის წინაპირობა;

7. არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის გაიზარდოს ქართული ენის კურსის სწავლების დონის მოთხოვნა A2 ჩათვლით და გახდეს არჩევითი;

8. სასწავლო კურსი „შესავალი თანამედროვე აზროვნებაში II“ გახდეს არჩევითი ან მისი შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის მიზნებთან;

9. ფიზიკა II-ის წინაპირობად განისაზღვროს ფიზიკა I;

10. პროგრამის ქართული თარგმანი შესაბამისობაში მოვიდეს ინგლისურ ორიგინალთან;

11. შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსების ქართულენოვანი სილაბუსები ინგლისურენოვან სილაბუსებთან. გასწორდეს მექანიკური და აზრობრივი შეცდომები, დაზუსტდეს ტერმინოლოგია;

12. სასაწავლო კურს „CS110 შესავალი დაპროგრამებაში“ სილაბუსის ქართული ვარიანტის კურსის სწავლის შედეგების ურთიერთკავშირის ცხრილი შესაბამისობაში მოვიდეს მის ინგლისურ ვარიანტთან;
13. სილაბუსებში მითითებულ ლიტერატურას მიეთითოს გამოშვების წელი;
14. სასწავლო კურსი „CS223 კიბერ უსაფრთხოება“ შეეცვალოს სახელი და დაერქვას „შესავალი კიბერუსაფრთხოებაში“, ასევე ჩაემატოს ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხები;
15. სასწავლო კურს „CS222 ოპერაციული სისტემები სისტემური პროგრამირების ელემენტებით“ ჩასწორდეს მიზანი;
16. სასწავლო კურსი „CS 311 პროგრამირების ენები“-ში განხილულ იქნას CLIPS ენა;
17. სასწავლო კურს ‘CS312 კომპიუტერული ქსელები“ დაზუსტდეს კურსის დასახლება და ჩაემატოს თემები ძირითადი ქსელური მოწყობილობების (Router, Switch) აღწერასა და ფუნქციონირების შესახებ. დინამიური და სტატიკური მარშუტიზაციის პრინციპების შესახებ. ასევე ჩაემატოს Ipv4 და Ipv6 მისამართების ზოგადი აღწერა;
18. „CS411 Nand2Tetris“ სასწავლო კურსის სილაბუსში ნათლად აისახოს კურსის შინაარსი და შეიცვალოს მოძველებული ლიტერატურა ახლით;
19. სასწავლო კურსში „CS413 ვებ პროგრამირებში“ ჩაემატოს თემატიკები javascript ფრეიმვორკებთან და მონაცემთა ბაზა MangoDB-სთან მუშაობის პრინციპებთან დაკავშირებით და HTML/CSS თემატიკას დაეთმოს ადეკვატური სალექციო საათები;
20. ზოგიერთი კურსებზე დაშვების წინაპირობები გასაძლიერებელია (მაგ: „CS417 შესავალი ბუნებრივი ენის დამუშავების ტექნოლოგიებში“ საჭიროა მათემატიკური ლოგიკისა („CS120 კომპიუტინგის მათემატიკური საფუძველი“) და სტატისტიკის („MATH251 ალბათობის თეორია და სტატისტიკური მეთოდები“) საკითხების ცოდნა. ანალოგიურად, „CS214 შესავალი კომპიუტერულ ენათმეცნიერებაში“ საჭიროა მათემატიკური ლოგიკის საკითხების ცოდნა.);
21. შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსში „კომპიუტერული ქსელები“ მითითებული სწავლების მეთოდები კურსის შინაარსთან და შეფასების კომპონენტებსა და მეთოდებთან;
22. რეკომენდირებულია სასწავლო კურსების: 1.ბიოლოგია ინჟინერთათვის, 2.შესავალი თანამედროვე აზროვნებაში II, 3.განაწილებული და პარალელური გამოთვლები, 4.რიცხვითი მეთოდების პრინციპების და 5. Nand2Tetris-ის სილაბუსებში შეფასების რუბრიკებში არსებული ტექნიკური ხარვეზების გასწორება. ასევე, რეკომენდირებულია, რომ Nand2Tetris-ის სასწავლო კურსის დასკვნითი შეფასება არ აღემატებოდეს 30 ქულას ან შეიცვალოს უსდ-ს რეგულაცია და შესაძლებელი გახდეს სასწავლო კურსის დასკვნითი შეფასების გაზრდა, რათა სილაბუსი წინააღმდეგობაში არ იყოს უსდ-ს მარეგულირებელ დოკუმენტთან;
23. დაზუსტდეს სავალდებულო სასწავლო კურსის „Nand2Tetris“ ლექტორი და იგი შეირჩეს საგნის ცოდნიდან გამომდინარე;
24. გადაიხედოს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო წიგნები და განხორციელდეს დანაკლისის შესყიდვა.

საბჭოს თავჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, კერძოდ:

პირველ და მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ მოცემული პროგრამა შემუშავდა სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან აქტიური თანამშრომლობით და გადიოდა ABET-ის რეკომენდაციებს. კომპიუტერულ მეცნიერების პროგრამაში მოცემული და განსაზღვრულია ABET-ის მიზნები. პროგრამას ასევე გავლილი აქვს გარე შეფასება, როგორც სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტის თავმჯდომარის, ასევე ABET-ის ექსპერტის მიერ. შესაბამისად, გაუგებარია რეკომენდაციების მიზნები.

რაც შეეხება მე-7 რეკომენდაციას, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაცია იყო ბუნდოვანი. მოცემული კურსი ვერ გახდება არჩევითი, ვინაიდან ინსტიტუციის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია არ გულისხმობს იმას, რომ ვერ მოხერხდეს უცხოელი სტუდენტის მოცემულ გარემოში ინტეგრირება. მნიშვნელოვანია, რომ ქართული ენის კურსი უცხოელი სტუდენტებისთვის არის არა არჩევითი, არამედ სავალდებულო. ენის ცოდნის დონე განისაზღვრება უნივერსიტეტში მოქმედი სპეციალური დაწესებულების მიერ. ქართული ენის პრაქტიკული კურსი შემუშავებულია ენების ფლობის საერთო ევროპული ჩარჩოს მიხედვით და ითვალისწინებს შესაბამისი საფეხურისთვის - A1 დონისთვის საჭირო საათობრივ დატვირთვასა და შინაარსს.

საყურადღებოა ასევე მე-8 რეკომენდაცია, ABET-ის მოთხოვნების შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტმა გაიაროს გარკვეული ზოგადი კურსი. მოცემული საგანი პროგრამის მიზნებთან არ არის კავშირში. თავად სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტს მისცეს ზოგადი ცოდნა. შთა - შესავალი თანამედროვე აზროვნებაში, წარმოადგენს ზოგად საუნივერსიტეტო კურსს, რაც გულისხმობს იმას, რომ მისი სწავლება ხორციელდება დაწესებულებაში მოქმედი ყველა პროგრამის ფარგლებში.

მე-9 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს ვერ მოხერხდებოდა კონკრეტული დასამატებელი საგნის განსაზღვრა. პროგრამის დასაწყისშივე მოცემულია დისკრეტული მათემატიკისა და მათემატიკური ლოგიკის საკითხები, განხილულია ალგორითმები, სტრუქტურა, გამოთვლის სირთულეები და პროგრამირების ენები. განხილულია ასევე საგნები რომლებიც დაკავშირებულია მონაცემთა განხილვასთან და მათ ვიზუალიზაციასთან, ხელოვნურ ინტელექტთან, მანქანურ სწავლებასთან. ასევე ისწავლება აპარატული დონის საგნები, რომლებიც დაკავშირებულია ქსელურ მოწყობილობებთან.

რაც შეეხება მე-14 რეკომენდაციას, აღნიშნული შენიშვნა სრულად მიღებული და გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ.

პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე ისაუბრა ოპერაციულ სისტემებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ საერთაშორისო გამოცდილებიდან გამომდინარე აქცენტი კეთდება იმაზე, რომ სტუდენტს ჰქონდეს დაბალ დონეზე კომპიუტერული სისტემებისა და კომპიუტერული აპარატურის შესახებ ცოდნის მიღების შესაძლებლობა. პროგრამა არის დამოუკიდებელი, თუმცა იგი ასევ უნდა იყოს განხილული ერთიანად, როგორც ტექნიკური სკოლის პროგრამა.
მე-16 რეკომენდაციასთან მიმართებით, პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ CLIPS ენა არის სპეციალური დაპროგრამების ენა, რომელიც არ ჯდება აღნიშნული კურსის კონცეფციაში. CLIPS ენის გამოყენება დღესაც მიმდინარეობს, თუმცა არა აქტიურად. აღსანიშნავია, რომ CLIPS ენა მეტად შეესაბამება მანქანური მეცნიერებების საკითხს და არა კლასიკური კომპიუტერულ მეცნიერებების გაგებით პროგრამირების ენების კონცეპციას. აქედან გამომდინარე, დაწესებულება თვლის, რომ CLIPS ენა არ უნდა იყოს ,,პროგრამირების ენების“ კურსში გათვალისწინებული.

ქსელებთან დაკავშირებით, პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ Router, და Switch- ის დაფარვა და კომუნიკაციის სქემის აღწერა პროგრამის მიხედვით გათვალისწინებულია, თუცა მისი განხილვა არ ხდება სიღრმისეულად, რადგან სტუდენტებისთვის გასაგები იყოს თუ როგორ ხდება პაკეტების მიმოცვლა პროგრამირების დონეზე. სტუდენტს უნდა შეეძლოს შეგრძნება იმისა თუ როგორ იწერება პროტოკოლი.

მნიშვნელოვანია ასევე 23-ე რეკომენდაცია. პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ სილაბუსში ძირითადი ხელმძღვანელის გარდა მითითებულია 5 ხელმძღვანელი, კომპიუტერული ინჟინერიის ინსტრუქტორები. კურსს, პროგრამის ხელმძღვანელის ჩათვლით ჰყავს 6 ინსტრუქტორი. აღნიშნული სასწავლო კურსი არის საკმაოდ კომპლექსური, თუმცა ბაკალავრიატის სტუდენტისთვის საკმაოდ ბევრის მიმცემი. კურსი სრულიად დაფუძნებულია პრაქტიკულ მუშაობებზე.

მე-19 რეკომენდაციასთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება შეეცადა მთლიანად მოეცვა პროგრამირების კომპონენტები.

დაწესებულების წარმომადგენელმა ყურადღება ასევე გაამახვილა მე-9 რეკომენდაციაზე და აღნიშნა რომ როდესაც არსებობს სასწავლო კურსი ,,ფიზიკა 2“ გაჩნდეს აუცილებლობა მის წინაპირობად ,,ფიზიკა 1“ -ის განსაზღვრის, თუმცა ,,ფიზიკა 2“-ის სილაბუსში განსაზღვრული მიზნები და შედეგები არ მოითხოვს ,,ფიზიკა 1“ - ის ცოდნას. აღნიშნული კურსის მიზანია გააცნოს სტუდენტებს ზოგადი პრინციპები და არ არის მიმართული ღრმა ფუნდამენტური ცოდნის მიცემისკენ. სასწავლო კურსის, ,,ფიზიკა2“-ის მიზნებისა და შედეგების მიღწევა სავსებით შესაძლებელია ,,ფიზიკა1 „- ის გავლის გარეშე.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს სილაბუსებში დაჯამების კუთხით სახეზე იყო ტექნიკური შეცდომები, რომელთა აღმოფხვრაც დაწესებულების მიერ უკვე განხორციელდა. შესაბამისად ინსტიტუცია მიიჩნევს რომ მსგავსი ხასიათის რეკომენდაციები რჩევების სახით უნდა ყოფილიყო მოცემული.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ გათვალისწინებული იქნა რეკომენდაცია ფინალური ნაშრომის წონასთან დაკავშრებით. მოხდა კრედიტების რაოდენობის გაზრდა და სხვა საგნის არჩევითი სასწავლო კურსის სახით გადატანა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 18:08
დასრულების დრო:18:34

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერების“ (ძირითადი სპეციალობა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების და 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ პირველი და მე-4 სტანდარტი განსაზღვრა როგორც სრულად შესაბამისი აკრედიტაციის სტანდარტებთან.
საბჭოს გადაწყვეტილებით განხორციელდა გარკვეული რეკომენდაციების სახეცვლილება, რიგი რეკომენდაციები გადავიდა რჩევების ნაწილში. რეკომენდაციები და რჩევები კი საბოლოოდ ჩამოაყალიბდა შემდეგი ფორმულირებით

რეკომენდაციები:

1. სასწავლო კურსის: „დამამთავრებელი კურსის დიზაინის პროექტი“ გადაიხედოს კრედიტების რაოდენობა;
2. პროგრამისა და სილაბუსების ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი ვერსიები მოვიდეს შესაბამისობაში ერთმანეთთან და გასწორდეს თარგმანში არსებული უზუსტობები.
3.
4. გასწორდეს სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა და გახდეს მეტად იდენტიფიცირებადი;
5. სასწავლო კურსი „CS223 კიბერ უსაფრთხოება“ შეეცვალოს სახელი და დაერქვას „შესავალი კიბერუსაფრთხოებაში“, ასევე ჩაემატოს ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხები;
6. სასწავლო კურს „CS222 ოპერაციული სისტემები სისტემური პროგრამირების ელემენტებით“ ჩასწორდეს მიზანი;
7. სასწავლო კურს ‘CS312 კომპიუტერული ქსელები“ დაზუსტდეს კურსის დასახლება და ჩაემატოს თემები ძირითადი ქსელური მოწყობილობების (Router, Switch) აღწერასა და ფუნქციონირების შესახებ. დინამიური და სტატიკური მარშუტიზაციის პრინციპების შესახებ. ასევე ჩაემატოს Ipv4 და Ipv6 მისამართების ზოგადი აღწერა;
8. „CS411 Nand2Tetris“ სასწავლო კურსის სილაბუსში ნათლად აისახოს კურსის შინაარსი და შეიცვალოს მოძველებული ლიტერატურა ახლით;
9. სასწავლო კურსში „CS413 ვებ პროგრამირებში“ ჩაემატოს თემატიკები javascript ფრეიმვორკებთან და მონაცემთა ბაზა MangoDB-სთან მუშაობის პრინციპებთან დაკავშირებით და HTML/CSS თემატიკას დაეთმოს ადეკვატური სალექციო საათები;
10. შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსში „კომპიუტერული ქსელები“ მითითებული სწავლების მეთოდები კურსის შინაარსთან და შეფასების კომპონენტებსა და მეთოდებთან;
11. გადაიხედოს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო წიგნები და განხორციელდეს დანაკლისის შესყიდვა.

რჩევები:
1.პროგრამის მიზნებში ნათლად აისახოს კურსდამთავრებულთა სამიზნე ცოდნა;
2. დაზუსტდეს პროგრამის მეორე შედეგი და გაიწეროს ისე, რომ იყოს გაზომვადი და მიღწევადი;
3. ქართულად პროგრამის შედეგები გაიწეროს აქტიურ დროში;
4. პროგრამაში გაიზარდოს კომპიუტერული მეცნიერებების კურსების წილი;
5. სასწავლო კურსი „შესავალი თანამედროვე აზროვნებაში II“ გახდეს არჩევითი;
6. სასწავლო კურსი „CS 311 პროგრამირების ენები“-ში განხილულ იქნას CLIPS ენა;
7. ზოგიერთი კურსებზე დაშვების წინაპირობები გასაძლიერებელია (მაგ: „CS417 შესავალი ბუნებრივი ენის დამუშავების ტექნოლოგიებში“ საჭიროა მათემატიკური ლოგიკისა („CS120 კომპიუტინგის მათემატიკური საფუძველი“) და სტატისტიკის („MATH251 ალბათობის თეორია და სტატისტიკური მეთოდები“) საკითხების ცოდნა. ანალოგიურად, „CS214 შესავალი კომპიუტერულ ენათმეცნიერებაში“ საჭიროა მათემატიკური ლოგიკის საკითხების ცოდნა.).

გადაწყვეტილება
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველიპუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის,მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის 6 იურიდიული პირის -

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერების“ (ძირითადი სპეციალობა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

4. მეოთხე საკითხი: შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის "საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტის)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ 2020 წლის 24 სექტემბრის N 890136 გადაწყვეტილების დანართში ტექნიკური ხარვეზების გასწორება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადა ნიკა თიკანაშვილმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება აკრედიტაციის დებულების 27 -ე მუხლის მე-4^2 პუნქ ტის საფუძველზე, სხდომის თავმჯდომარემ დააკისრა საბჭოს წევრს გიორგი თურქიას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, სოფიკო ქურასბედიანმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის "საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტის)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ 2020 წლის 24 სექტემბრის N 890136 გადაწყვეტილების დანართში პროგრამის სახელწოდებასა და აკრედიტაციის საბჭოს წინა გადაწყვეტილების ნომრის მითითებასთან დაკავშირებით გამოვლინდა ტექნიკური ხარვეზები, რომლელიც მიზანშეწონილია გასწორდეს საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებით, კერძოდ, 2020 წლის 24 სექტემბრის N 890136 გადაწყვეტილების დანართში არასწორად არის მითითებული პროგრამის ძველი სახელწოდების დასახელება და აკრედიტაციის საბჭოს წინა გადაწყვეტილების ნომერი. შესაბამისად, ,, საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის“ ნაცვლად უნდა მიეთითოს ,,საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაცია (კომერციული პილოტი)" და 2015 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება N 105 ის ნაცვლად მიეთითოს გადაწყვეტილება N 104.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის "საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტის)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ 2020 წლის 24 სექტემბრის N 890136 გადაწყვეტილების დანართში პროგრამის სახელწოდებასთან დაკავშირებული ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი
მომხრე: 13
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59 - ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, გასწორდეს შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის "საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტის)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ 2020 წლის 24 სექტემბრის № 890136 გადაწყვეტილების დანართ 1-ში არსებული ტექნიკური შეცდომა და პროგრამის წინა სახელწოდებად მიეთითოს - ,,საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაცია (კომერციული პილოტი)", ხოლო 2015 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება № 105-ის ნაცვლად მიეთითოს, 2015 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება № 104.

საბჭოს სხდომა დასრულდა 18:35 სთ-ზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
გეგენავა დიმიტრი



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
თურქია გიორგი